PDF Eraser Free

დანართი №2

შპს ინტერბიზნესის აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თავმჯდომარე: ელენე კაკაბაძე

წევრები:ქეთევან ღვანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ინტერბიზნესის აკადემია**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25.11.2021 N 1268098 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. ქეთევან ღვანიძე - დარგის ექსპერტი (წევრი).

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მიმდინარე წლის 6 და 7 დეკემბერს, „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ემუხლისმე-2 პუნქტისბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით ვიზიტის განახორციელება შპს ინტერბიზნესის აკადემიაში.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს - ინტერბიზნესის აკადემიის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 28 ოქტომბერს წარმოდგენილი განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით, „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.

2021წლის 6, 7 დეკემბერს განხორციელდა ვიზიტი შპს ინტერბიზნესის აკადემიაში. ვიზიტი წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგით წარიმართა. დოკუმენტაციის შესწავლის, ადმინისტრაციასთან და პერსონალთან გასაუბრების, მატერიალური რესურსის და პრაქტიკის ობიექტების ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შედგა „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

IV. [illegible] ექსპერტიზის საერთო მიმოხილვა:

V. წინავიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

VII.რეკომენდაციები სშეჯამება

არგაცემულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია ... პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის 2021 წლის 15 ოქტომბრის #01–31 ბრძანება.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თბილისი შალვა ჯაფარიძის ქ. #8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40პროფესიული სტუდენტი, ქ. თბილისი შალვა ჯაფარიძის ქ. #8, მოდულური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

VII. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ექსპერტების მიერ სტანდარტის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	✓	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამისგანხორციელებისრესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება	**სრული3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასებახორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.საგანმანათლებლოპროგრამები

2.1 საგანმანათლებლოპროგრამისდაგეგმვადაშემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებასდაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერით ან მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“.

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული „დებულებათა კრებულით“ , მუხლი 36 (დამტკიცებული 09.11.2017 წლის #01–44 ბრძანებით; ცვლილება 09.07.2021 წლის #01–19 ბრძანება). აღნიშნული დოკუმენტის თანახმად პროესიული პროგრამის შემუშავება ხდება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი და პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი. ჯგუფის მიერ შემუშავებული და ადაპტირებული პროფესიული პროგრამის პროექტი, საჭირო დანართებით ხარისხის მართვის სამსახურის ურროსის მიერ წარედგინება დაწესებულების დირექტორს, რომელიც დადებითი დასკვნის შემთხვევაში გამოსცემს ბრძანებას პროგრამის დამტკიცებასთან დაკავშირებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები (14.09.2021წ.-#1; 15.10.2021წ-#5) ოქმის თანახმად სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე განხილული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ ადაპტირების საორგანიზაციო საკითხები, შემდგომ კი მათ მიერ ადაპტირებული პროფესიული პროგრამის განხილვა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ, პროფესიული პროგრამის „სკოლამდელი არზრდა“ მიზანშეწონილობაში ვკითხულობთ, რომ მიმდინარე წელს დაწესებულება ინტენსიურად აკვირდებოდა ქ. თბილისში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში „აღმზრდელის“ პროფესიულ პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის პროცესს, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ ქ. თბილისში აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს 23 საგანმანათლებლო დაწესებულება, საერთო ჯამში მისაღები კონტიგენტის გამოცხადებული ზღვრული რაოდენობა იყო – 554, რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობამ კი შეადგინა 1191; ამასთანავე კოლეჯის თქმით კერძო და საჯარო ბაგა–ბაღების ადმინისტრაციას გაეგზავნა დაწესებულების მიერ შემუშავებული კითხვარი, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ ბაგა–ბაღების 9,1% განიცდის აღმზრდელის ნაკლებობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

დამსაქმებელთა 54,5% მიუთითებდა ბაგა–ბაღებში უფრო მეტი აღმზრდელის რაოდენობას. გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო, რომ საბავშვო ბაგა–ბაღებში „სკოლამდელი აღზრდის“ კვალიფიკაციის მქონე პირების დასაქმების პერსპექტივა მზარდია, გათვალისწინებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა სახელმწიფოს მიერ შეტანილია პრიორიტეტული პროგრამების ჯგუფში და ასევე, ქვეყანაში ბოლო ორი წლის მანძილზე განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე უფრო ფუნქციურია მცირე ზომის კერძო ბაღები, რაც კურსდამთავრებულებს დასაქმების კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს სთავაზობს, როგორც დასაქმების, ასევე თვითდასაქმების მიმართულებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მიზანშეწონილობის დოკუმენტში მოყვანილია ასევე გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები ბაგა–ბაღებში მომუშავე კადრის კვალიფიციურობის შესწავლის მიზნით. კვლევის შედეგების საფუძველზე, კვალიფიკაციებთან დაკავშირებით ორგანიზაციის მიერ გაცემულია რეკომენდაცია ბაგა–ბაღებში მომუშავე არაკვალიფიციური კადრების გადამზადებასთან დაკავშირებით, რაც კოლეჯის თქმით კიდევ ერთხელ ადასტურებს, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, ასევე პროგრამის ფარგლებში გადასამზადებელი პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობას. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ დამატებასთან დაკავშირებით გამომდინარეობს აკადემიის სტრატეგიული გეგმიდან და შეესაბამება დაწესებულების მისიას. აკადემიის მისიაა: „პრავალპროფილური პროფესიული განათლების მისაღებად პარტნიორ დაწესებულებებთან ერთობლივად პროფესიის შესაბამის რეალურ გარემოში, შრომის ბაზარზე ადაპტირებული კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრის მომზადება.ინდივიდის მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა. აკადემიის პრიორიტეტული მიმართულებაა ჯანდაცვა“.

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები გაწერილია დაწესებულების დებულებათა კრებულის 37–ე მუხლში.დოკუმენტი ასახავს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას, როგორიცაა პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები;აპლიკანტთა რეგისტრაცია და შერჩევა; გასაუბრებაში/ტესტირებაში მონაწილეობის უფლება;აპლიკანტთა ჩარიცხვა; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, მობილობის წესები.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

აკადემიის მიერ შემუშავებული პროესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტუქცია, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 14 ნოემბრის # 01–46 ბრძანებით (ცვლილება: 02.08.2018წ ბრძ.#01–34; 20.05.2019 ბრძ.#01–14; 30.09.2021წ. ბრძ.#01–27) განსაზღვრავს დაწესებულებაში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებს დაწესებულებაში შესაბამისი სასწავლო სივრცეების არსებობას, კერძოდ A და B გარემოებს, რომლებიც აღჭურვილი იქნება სწავლებისათვის აუცილებელი შესაბამისი ინფრასტრუქტურით. A გარემოში გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა გამრავლებული 2–ზე; B გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა გამრავლებული 20–ზე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა“ დაწესებულება ითხოვს 40 პროესიული სტუდენტის მიღებას (ერთ ცვლაში). დაწესებულების მიერ სწავლებისათვის გამოყოფილი გარემო საშუალებას იძლევა ერთ ცვლაში მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

რეალური გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

არჩევითი მოდულები არ აქვს.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2021 წლის 15 ოქტომბრის #01–31 ბრძანებით.

პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია დაწესებულების დებულებათა კრებულით მუხლი 8 . პუნქტი – 8.4.7; აღნიშნულიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროგრამის დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის სახელწოდებაა “ სკოლამდელი აღზრდა“, იგი არ არის შეცდომაში შემყვანი ვინაიდან შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სკოლამდელი აღზრდის პროფესიასთან. პროგრამის სწავლის შედეგებია: 1. ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; 2. მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა; 3. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება; 4.წარმატებული,უსაფრთხო,მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --  ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელი“ საფუძველზე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული “აღმზრდელის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ,პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სტუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება.

პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.

მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია.

აკადემიის მიერ წარმოდეგნილისაგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- აკადემიის მისია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- დებულებათა კრებული;
- პროგრამის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიის დირექტორის ბრძანება #01–31; 15.10.2021წ.;
- საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები;
- სასწავლო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

შეფასება:

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

2.2საგანმანათლებლოპროგრამისგანხორციელებისრესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა 20 პროფესიულ სტუდენტზე.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული აუდიტორიების გადამოწმება, აღმოჩნდა,რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს ორი A გარემო,#401 და #503 აუდიტორიები, თითოეული აღჭურვილია საჭირო რესურსით 20 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ დაწესებულებას მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 40 პროფესიულ სტუდენტზე, 2 კომპიუტერი, 2დაფა, 2 პროექტორი, 2 კომბაინი, 2 ფლიპჩარტი და 2 –ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). აღნიშნულ პროგრამაზე კოლეჯს სურს 40 სტუდენტის დამატება (ერთ ცვლაში).

საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქ. თბილისის ა(ა)იპ #9 (28.09.2021წ. - დან. - 31.12.2026წ.- მდე- #03-08) და #197 (04.10.2021წ. - დან. – 31.12.2026წ.-მდე. – #03-10) საბავშვო ბაგა–ბაღებთან.

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება მიზნად ისახავს მხარეთა ერთობლივი საქმიანობით აკადემიის სკოლამდელი აღზრდის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორაგნიზაციის საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

გამოვლენილი და ვალდებულების არსებობის შემთხვევაში აკადემიის კურსდამთავრებულების დასაქმებაში პრიორიტეტის მინიჭებას.

აკადემია ვალდებულებას იღებს კოორდინაცია გაუწიოს პრაკტიკული კომპონენტის განხორციელებას, რისთვისაც მზადაა გამოყოს პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას და მხარდაჭერას პროგრამის, სასწავლო გეგმის, სწავლების თემატიკის და ხანგრძლივობის, ასევე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის, სწავლებისა და შეფასებასთან, ასევე შეფასების გაფორმებასთან დაკავშირებით, ხოლო პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულია ერთდროულად მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი და უზრუნველყოს მათი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება აუცილებელი აღჭურვილობით, მასალითა და ნედლეულით, გამოყოს აკადემიის წინაშე ანგარიშგებაზე და ინფორმაციის გაცვლაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ასევე ორგანიზებას გაუწევს პროფესიულ სტუდენტთა აღრიცხვას, უზრუნველყოფს მათთვის სასწავლო/სამუშაო გარემოსა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო გარემოს შექმნას.

პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და აღნიშნული დაწესებულების გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ორგანიზაცია მზადაა ერთდროულად მიიღოს 20 - ი პროფესიული სტუდენტი, გააცნოს მათ დაწესებულების შინაგანაწესი და ქცევის წესები, მოახდინოს მათი გადანაწილება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, სადაც პროფესიული სტუდენტებს საშუალება ექნებათ დააკვირდნენ ყველა ასკის სკოლამდელ აღსაზრდელს, შეისწავლონ მათი ასაკობრივი თავისებურებები, გაეცნონ შესაბამისი ჯგუფის დღის წესრიგსა და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს. პარტნიორი ორგანიზაცია - საბავშვო ბაგა-ბაღში ფუნქციონირებს 12 სააღმზრდელო ჯგუფი და დაკომპლექტებულია ყველა საჭირო კვალიფიციური კადრით, როგორიცაა სასწავლო პროგრამების კოორდინატორი, ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, ლოგოპედი და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 23 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 14 პროესიული მოდულის, ხოლო 9 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირი, რომლებთანაც გაფორმებულია წინარე შრომითი ხელშეკრულებები თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განსახორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები.

პროფესიულ მასწავლებელთა შერჩევის წესი განსაზღვრულია დაწესებულების დებულებათა კრებულის 32-ე მუხლით.

აკადემიის მიერ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების პროფესიული განათლების განმახორციელებელ პირებს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნული პიროვნებები დაკავებულ პოზიციაზე შეირჩნენ კვცალიფიკაციისა და მათი სამუშაო გამოცდილების შესაბამისად. ყველა მათგანს აქვს პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ პროფესიაში. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეულ მასწავლებლებს არ აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება, თუმცა დაწესებულების თქმით მუდმივად მიმდინარეობს მათი დატრენინგება, როგორც კოლეჯის სასწავლო პროცესისსა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის, ასევე კოლეჯის უკვე გამოცდილი პროფესიული მასწავლებლების მიერ.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განმახორციელებელთა პირადი საქმე, რითაც დადასტურდა აკადემიის მიერ შერჩეული პროფესიული მასწავლებლების გამოცდილება და კვალიფიკაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

ყველა მათგანი აღნიშნულ დარგში პრაქტიკოსია და აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს კომპეტენტური, დარგის სპეციალისტი. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია დაწესებულების დებულებათა კრებულის 31 [1] მუხლში, საკვალიფიკაციო მოთხოვნები კი განსაზღვრულია აკადემიის შინაგანაწესით, მუხლი 3 [1]; „აკადემიის დებულებათა“ კრებულის თანახმად პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელს, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, ნიშნავს აკადემიის დირექტორი. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის ადაპტირება–შემუშავებაში, განმახორციელებელი პერსონალის შერჩევაში, საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრაში,დარგში სიახლეების გაცნობა–დანერგვაში და ხარისხის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურების უფროსების მიერ დაგეგმილ სხვა ღონისძიებებში.

ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად და მისი პირადი საქმის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, იგი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, აკადემიის ბიბლიოთეკას გააჩნია 3981 წიგნადი ფონდი. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია აკადემიის ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით, სასწავლო რესურსი ჩატვირთულია აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულ კომპიუტერებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი. დაწესებულებას ცალკე გამოყოფილი აქვს სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად: მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. პანდუსი შენობის მთავარ შესასვლელში, კიბეებზე დამონტაჟებული მოძრავი პანდუსი და სველი წერტილი.

ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა გაწერილია დაწესებულების დებულებათა კრებულის 51[1] მუხლით. დოკუმენტის თანახმად ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სტუდენტის ჩარიცხვიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, პროფესიული სტუდენტის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

სსსმ პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა ნიშნავს მძიმე ან/და ძალიან მძიმე ინტელექტუალური დარღვევის ან მრავლობითი დარღვევის მქონე სდუდენტისათვის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო მიზნებისა და შედეგების ცვლილებას, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ფოკუსირებულია შედეგზე. ყოველი სსსმ პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში განისაზღვრება: 1. სწავლის შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები; 2. დრო, რომელსაც პროფესიული მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმითგანსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას; 3. პროცესებზე პასუხისმგებელი პირი; 4. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალა, დამატებითი ტექნიკური რესურსი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას სსსმ პროფესიული სტუდენტის ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით (დასკვნის შესაბამისად).

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის საჭიროების შემთხვევაში, აკადემიის დირექტორის ბრძანებით იქმნება გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს დაწესებულების დირექტორს.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი აღზრდა“ შედგენილია სავარაუდო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია 16 პროფესიულ სტუდენტზე გაანგარიშებით.

შემოსავლების ნაწილი მოიცავს: სწავლის საფასურსა და დიპლომის საფასურს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: 1. მასწავლებლის ხელფასი. 2.ადმინისტრაციის ხელფასი და ერთჯერადი კონტრაქტები მომსახურეობაზე. 3. კომუნიკაციის ხარჯი. 4. რეკლამის ხარჯი. 5. სამეურნეო ხარჯი. 6. მატერიალურ ტექნიკური ბაზის განვითარების ხარჯი. 7. სხვა ხარჯები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებებით;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პროგრამის განმახორციელებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიუჯეტის ფორმა;
- დებულებათა კრებული.

შეფასება:

[redacted]შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.3საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
---

PDF Eraser Free

2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ეყრდნობა „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლს და მოიცავს: შეფასების მოსამზადებელ ეტაპებს, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემას, სასწავლო პროცესის შეფასების სისტემას, პერსონალის შეფასების სისტემას, შიდა მონიტორინგის ინსტრუქციას და მონიტორინგის გეგმას. აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია დებულებათა კრებული, რომლის მე-10 და მე-10[1] თავები ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების უზრუნველყოფის წესს.

აკადემიის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სკოლამდელი აღზრდის პროგრამის შემუშავებისას ჩატარებული იქნა ადგილობრივი ბაზრის კვლევა კითხვარების საშუალებით, რაც დადასტურებული იქნა დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი შევსებული კითხვარებით.

2.პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული - დებულებათა კრებულის მე-10 თავის 36-ე მუხლი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, შეცვლას ან გაუქმებას.დოკუმენტში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებების განხორციელების წესები და პროცედურები. განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პირობები, მონაწილე პირები.

აკადემიის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია პროგრამის შეფასების მოსამზადებელი ეტაპები და შეფასების სისტემა. შესაბამისად შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი და კითხვარების საშუალებით ხდება პროგრამის შეფასება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები -(შპსინტერბიზნესისაკადემიისდირექტორის2021წლის 16 თებერვლის N 01-10 ბრძანებით შეტანილი ცვლილებებით);
- აკადემიის დებულებათა კრებული - (შპსინტერბიზნესისაკადემიისდირექტორის2021 წლის 9 ივლისი 01-19 ბრძანებით შეტანილი ცვლილებებით);
- ბაზრის მოკვლევის კითხვარები;
- აკადემიის ადმინისტრაციასთან და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

☐შესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.4სასწავლოპროცესისორგანიზებადაპროფესიულსტუდენტთაშეფასება

2.4.1სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღრზდა“ ახალია და წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით იგი განხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
---

PDF Eraser Free

2.ასდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ, დირექტორის მიერ დამტკიცებულია დებულებათა კრებული, რომლის მე-11[1] თავში გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები კერძოდ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურები. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, სსსმ და შშმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მექანიზმებს. ასევე გათვალისწინებულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით.

პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებიდან გამომდინარე, აკადემიაში სასწავლო პროცესი, პანდემიის პირობებში ხორციელდება ჰიბრიდულად. შესაბამისად შემუშავებულია დისტანციური სწავლების გზამკვლევი და ინსტრუქცია.

3.სასწავლოპროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს. პროგრამაზე „სკოლამდელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

აღზრდა“ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ ხდება მასწავლებლების გადამზადება და სისტემატურად ტარდებე ტრენინგები. სწავლის შედეგების დასადასტურებლად აკადემიის მიერ შეძენილია და ადაპტირებულია - https://testmoz.com/შეფასების ელექტრონული პლატფორმა.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

პროფესიული საგანმანათლებლოპროგრამით „სკოლამდელი აღზრდა“ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნებაპროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.აკადემიის დებულების მე-11[1] თავის 51[1] მუხლი ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, რომელშიც აუცილებლად ჩართული უნდა იყოს პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი მეურვე/წარმომადგენელი. სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში კი სპეციალური მოწვეული მასწავლებელი, მოწვეული ფსიქოლოგი, დამატებით დამხმარე პერსონალი კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი და საჭიროების შემთხვევაში მშობელი.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ ფარგლებში აკადემია თანამშრომლობს N9-ე და 197-ე ბაგა-გაღებთან პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით, რაც დასტურდება შესაბამისი მოთხოვნების დაცვით გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებით.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

აკადემიაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ ფარგლებში სპეციფიკური უსაფრთხოების წესები არ არსებობს და პროფესიულ მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხო გარემო გულისხმობს ზოგადი უსაფრთხოების წესების დაცვას, რომელიც დეტალურად არის გაწერილი აკადემიის დებულებათა კრებულის მე-6 თავის 21.9პუნქტით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“, მოდულები, სასწავლო გეგმა;
- აკადემიის დებულებათა კრებული - (შპსინტერბიზნესისაკადემიისდირექტორის 2021 წლის 9 ივლისი 01-19 ბრძანებით შეტანილი ცვლილებებით);
- დისტანციური სწავლების ინსტრუქცია;
- მე-9 და 197-ე ბაგა-ბაღთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- https://testmoz.com/შეფასების ელექტრონული პლატფორმის შესყიდვის დოკუმენტი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება;
- აკადემიის ადმინისტრაციასთან და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
---

PDF Eraser Free

2.4.2შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

აკადემიაში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. დებულებათა კრებულის 41[1] მუხლი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასებას, რომელშიც გაწერილია შეფასების ინსტრუმენტები და შეფასებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

აკადემიაში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მე-11 მუხლი ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია ხორციელდება შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ სამი მიმართულებით. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, რომლის შედეგების განხილვა ხდება დაწესებულებაში. განხილვაში მონაწილეობენ პროფესიული მასწავლებლები, შეიძლება შეხვედრაზე მოწვეული იქნას დარგის ექსპერტები, დამსაქმებლები, პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები. დასკვნის განხილვის საფუძველზე დაწესებულება შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. აღნიშნული კი გათვალისწინებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

დებულებათა კრებულის 24-ე მუხლით(24.8.12 და 24.8.13.), კერძოდ, სასწავლო წლის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტთა განმსაზღვრელი შეფასებისთვის განკუთვნილი მტკიცებულებები, ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში 3 წლის განმავლობაში, შემდგომ ექვემდებარება განადგურების აქტით განადგურებას, შექმნილი კომისიის ხელმოწერით, ხოლო განმავითარებელი შეფასებისთვის განკუთვნილი მტკიცებულებები სასწავლო კურსის დასრულებამდე, პროფესიულ სტუდენტზე კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ ნადგურდება ან სურვილის შემთხვევაში გადაეცემა პირადად პროფესიულ სტუდენტს. განმსაზღვრელი შეფასების თითოეული შედეგი ექვემდებარება აღრიცხვას, ელექტრონულად ქსელის ფორმატში, სადაც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, ბაინდერის ნომერი რომელშიც ინახება მტკიცებულება, ინფორმაცია სტუდენტის შესახებ, ინფორმაცია პროგრამაში შემავალი მოდულების შესახებ, ინფორმაცია დადასტურება/არ დადასტურების და გამოუცხადებლობის შესახებ.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნული კი გაწერილია დებულებათა კრებულის 41[1] მუხლის 41. 1. 11 პუნქტში, კერძოდ, პროფესიული სტუდენტი მისი შემდგომი განვითარებისთვის იღებს უკუკავშირს მის მიერ შესრულებულ განმავითარებელ და განმსაზღვრელ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - (შპსინტერბიზნესისაკადემიისდირექტორის2021წლის 16 თებერვლის N 01-10 ბრძანებით შეტანილი ცვლილებებით);
- აკადემიის დებულებათა კრებული - (შპსინტერბიზნესისაკადემიისდირექტორის 2021 წლის 9 ივლისი 01-19 ბრძანებითშეტანილი ცვლილებებით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

---

PDF Eraser Free

შეფასება:

[redacted]შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ექსპერტთაჯგუფისშეფასება პროგრამაზემოთხოვნილიპროფესიულსტუდენტთაზღვრულირაოდენობისშესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება[redacted]
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითიმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
---

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

12.01.2022.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
---